# სასოფლო გაზეთი

## პირველი წელიწადი

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: მან. |
|---|---|
| ერთის წლისა — 7 მან. | — 6 |
| ნახევრის წლისა — 4 — | — 3 — 50 კ. |
| ხამის თვისა — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

გამოდის სამშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-о.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 6. სამშაბათი. I. 9 აპრილს 1868 წ.

**შინაარსი:** არა ოფიციალური ნაწილი: მმართებელი სენატისადმი უქაზი ძველი ქაღალდის ფულის გაცვლაზე ახალში.—არა ოფიციალური ნაწილი: საქონლის ავადმყოფობა და იმის წამლობა.—თელავიდგან.—ქიზიყელები ინგილოებში.--

### ოფიციალური ნაწილი.

*Указъ правительствующаго сената объ обмѣнѣ кредитныхъ билетовъ на таковые же новыхъ образцовъ.* Въ именномъ Его Императорскаго Величесва Высочайшемъ указѣ, данномъ правительствующему сенату, въ 13 день февраля сего года, за собственноручнымъ Его Величества подписаніемъ, изображено: „Настоящая отдѣлка государственныхъ кредитныхъ билетовъ по образцамъ, утвержденнымъ въ 1843 году, не соотвѣтствуетъ болѣе достигнутымъ, въ послѣднее время, усовершенствованіямъ въ искуствѣ приготовленія сего рода бумагъ. Въ слѣдствіе сего, Мы признали полезнымъ повелѣть, не измѣняя ни въ чемъ ни системы обращенія государственныхъ кредитныхъ билетовъ, ни ихъ подраздѣленій и сохраняя въ полной силѣ всѣ дѣйствующія о нихъ нынѣ постановленій, изготовлять ихъ впредь по новымъ образцамъ, при составленіи коихъ приняты въ соображеніе и примѣнены современныя улучшенія въ искусствѣ гравированія и печатанія и въ способахъ выдѣлки самой бумаги съ внутренними въ ней знаками. По изготовленіи нынѣ кредитныхъ билетовъ, одобренныхъ Нами новыхъ образцовъ въ количествѣ, достаточномъ для открытія обмѣна на нихъ билетовъ существующей формы, повелѣваемъ: приступить къ сему обмѣну и производить оный постепенно, на основаніи слѣдующихъ, составленныхъ министромъ финансовъ и разсмотрѣнныхъ въ государственномъ совѣтѣ, правилъ: 1) Съ 15 марта сего года имѣетъ быть начатъ обмѣнъ билетовъ 25 рублеваго достоинства; обмѣнъ билетовъ другихъ достоинствъ будетъ начинаться за симъ послѣдовательно, въ сроки, опредѣляемые министромъ финансовъ, по представленіямъ правленія государственнаго банка съ тѣмъ, чтобы въ теченіе года, т. е. къ 15 марта 1869 года, былъ открытъ обмѣнъ билетовъ всѣхъ достоинствъ. 2) Заблаговременно предъ открытіемъ обмѣна билетовъ каждаго достоинства, министръ финансовъ представляетъ описаніе одобренной Нами новой формы назначаемаго къ обмѣну билета правительствующему сенату, который распоряжается обнародованіемъ сего описанія въ установленномъ порядкѣ, принимая притомъ всѣ необходимыя мѣры, дабы оно сдѣлалось повсюду извѣстно. Министръ финансовъ дѣлаетъ также распоряженіе о снабженіи конторъ и отдѣленій государственнаго банка, а равно казначействъ образцами билетовъ новой формы, какъ для руководства сихъ учрежденій при денежныхъ расчетахъ, такъ и для выставленія по ихъ распоряженію, на видномъ мѣстѣ, гдѣ бы всякій могъ ознакомиться съ сими образцами. 3) Обмѣнъ производится сначала въ государственномъ банкѣ и его конторахъ, а потомъ, съ разрѣшенія министра финансовъ, постепенно открывается также въ банковыхъ отдѣленіяхъ, и казначействахъ. 4) Новые билеты каждаго достоинства обмѣниваются на нынѣшніе билеты лишь того же самаго достоинства. При семъ, съ открытіемъ обмѣна билетовъ какого либо достоинства, ни государственный банкъ, ни его конторы и отдѣленія, ни казначейства, не выдаютъ болѣе нынѣшнихъ билетовъ того достоинства въ обнѣмъ на билеты другихъ достоинствъ. 5) Обмѣнъ дѣлается по желанію предъявителей нынѣшнихъ кредитныхъ билетовъ съ точнымъ соблюденіемъ существующихъ относительно пріема таковыхъ билетовъ правилъ. 6) Съ открытіемъ обмѣна билетовъ какого либо достоинства, государственный банкъ и конторы его, а когда обмѣнъ будетъ производиться въ банковыхъ отдѣленіяхъ, то и сіи отдѣленія, выдаютъ въ счетъ банковыхъ платежей по вкладамъ, ссудамъ, переводамъ и текущимъ счетамъ частныхъ лицъ и государственнаго казначейства, билеты того достоинства новой формы, на сколько сіе дозволитъ запасъ оныхъ, но не иначе, какъ по предварительномъ обмѣнѣ на таковые билеты билетовъ прежней формы того же достоинства, поступившихъ по разнымъ случаямъ въ банковыя кассы. 7) Всѣ кредитные билеты настоящей формы, обмѣненные на новые, высылаются въ государственный банкъ и, по повѣркѣ, предаются уничтоженію, съ соблюденіемъ узако-

ეროვნული ბიბლიოთეკა

неннаго порядка. 8) Общее завѣдываніе операціею обмѣна государственныхъ кредитныхъ билетовъ, на определенныхъ въ настоящемъ указѣ основаніяхъ, поручается государственному банку, а повѣрка правильности производства операціи, въ установленномъ порядкѣ, возлагается на совѣтъ государственныхъ кредитныхъ установленій и ревизіонный при оном комитетъ. Министръ финансовъ, съ своей стороны, имѣетъ принимать всѣ необходимыя мѣры для содѣйствія успѣшному ходу дѣла. 9) Когда, по соображеніи количества остающихся въ обращеніи кредитныхъ билетовъ настоящей формы, признано будетъ нужнымъ, для окончательнаго изъятія сихъ билетовъ изъ обращенія, установить обязательный обмѣнъ оныхъ на новые билеты, министръ финансовъ войдетъ съ надлежащимъ представленіемъ объ изданіи правилъ таковаго обмѣна. Правительствующій сенатъ не оставитъ сдѣлать къ приведенію сего въ исполненіе зависящія отъ него распоряженія.

---

**მმართებელის სენატისადმი უკაზი ძველის ქაღალდის ფულის გაცვლაზე ახალში.** მისის იმპერატორებითი დიდებულების უმაღლესს უკაზში, რომელიც მისის დიდებულების საკუთარის ხელის მოწერით ამ წლის 13 თებერვალს მიეცა მმართებელ სენატსა, გამოხატულია: ახლანდელი სახელმწიფო ბილეთების კეთება 1843 წელს დამტკიცებულის ნიმუშის გვარათ არ შეშვენის ამ დროსა, როცა საბილეთო ქაღალდსა უწინდელზე ბევრათ უკეთესათ აკეთებენ. ამის გამო ჩვენ საჭიროთ შევრაცხეთ, ბრძანება გაგვეცა სახელმწიფო ქაღალდის კეთებაზე ახალ-ნაირათ, მაგრამ უცვლელათ უნდა დარჩეს უწინდელი რიგი ვაჭრობისა სახელმწიფო ბილეთებით, უწინდელი იმისი დაყოფილება და ამასთანავე ყოველგვარი აქამომდე ყოფილი დაწესება სახელმწიფო ბილეთების შესახები. ამ ბილეთების საკეთებლათ მხედველობაში მიღებულ არის და მოხმარებულ არის ამ დროს მოგონებული საუკეთესო ხელობა ბილეთების ჭოსაჭრელად, დასასტამბავათ და შინაგანის ნიშნების საკეთებლათ. ამ ჟამათ დამზადდა რაჩვენ მიერ მოწონებული იმდენი სახელმწიფო ბილეთები, რამდენიც საკმაოა, რომ იმაზე ძველი ბილეთები გაიცვალოს, ვბრძანებთ, რომ შეუდგნენ ამ გაცვლასა და იწარმოებოდეს იგი თან-და-თან საფინანსო მინისტრის შედგენილთ და სახელმწიფო რჩევაში განხილულთა წესთა თანახმად: 1) ამ წლის 15 მარტიდგან დაიწყოს ოცდა ხუთ მანეთიანების გამოცვლა; სხვა ღირსების ბილეთთა გამოცვლა დაიწყება თან-და თან იმ ჟამებიდგან, რომელთაც დანიშნავს საფინანსო მინისტრი სახელმწიფო ბანკის სამმართველოს წარდგინებათა თანახმად, იმ პირობით, რომ ერთი წლის განმავლობაში ესე იგი 1869 წლის 15 მარტამდის ყველა გვარი ბილეთების გაცვლა უნდა იყოს დაწყებული. 2) ვიდრე თითოეული ღირსების ბილეთების გაცვლა დაიწყებოდეს, საფინანსო მინისტრი წარუდგენს ჩვენმიერ მოწონებულის ახალი ფორმის ბილეთის აღწერას მმართებელს სენატს, რომელიც მოახდენს განკარგულებას, რომ დაწესებულის რიგით გამოცხადდეს ეს აღწერა; ამასთანავე მოიხმარს ყოველს გვარს ღონის-ძიებას ეს აღწერა ყოველგან შეიტყონ. საფინანსო მინისტრი აგრეთვე მოახდენს განკარგულებას, რომ სახელმწიფო ბანკის კანტორებში და განყოფილებებში, და ხაზინებში დაარიგოს ახალი ფორმის ბილეთები, როგორც ამ დაწესებულებათა ხელსამძღვანელოთ, ისე იმათის განკარგულებით ახალი ბილეთების გამოსაკიდებლათ იმისთანა ალაგას, საცა ყოველს კაცს შეეძლება ამ ახალი ბილეთების გაცნობა. 3) გაცვლა ჯერ სახელმწიფო ბანკში და იმის კანტორებში დაიწყოს და შემდეგ საფინანსო მინისტრის ნებართვით თან-და-თან გაიხსნას აგრეთვე საბანკო განყოფილებებში და ხაზინებში. 4) თითოეული ღირსების ახალი ბილეთი გაიცვალოს იმავე ღირსების ძველ ბილეთში. ამასთანავე რაკი რომელიმე ღირსების ბილეთის გაცვლა დაიწყება, არც სახელმწიფო ბანკი, იმის კანტორები და განყოფილებანი, არც ხაზინები აღარ გასცვლიან იმავე ღირსების ახლანდელს ბილეთებსა სხვა ღირსების ბილეთებზე. 5) გამოცვლა უნდა მოხდეს ახლანდელ ბილეთების წარდგენით სურვილისამებრ პატრონისა იმ წესის ბეჯითად ასრულებისამებრ, რომელიც აქამომდე ბილეთების გაცვლისთვის იყო გამოცემული. 6) რაკი ბილეთების გაცვლა დაიწყება, სახელმწიფო ბანკი, იმისი კანტორები და, როცა ბანკის განყოფილებებშიაც იწყებენ გაცვლას, მაშინ ამ განყოფილებებშიაც მისცემენ ხოლმე კერძო პირების და სახელმწიფო ხაზინის გირაოთი, სესხით ან გადაცემით და წარმავალი ანგარიშით საბანკო გადასახადის ანგარისში იმავე ღირსების ახალი ფორმის ბილეთებსა იმის და გვარად, რამდენიც იქნება სახელმწიფო ბანკში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წინათვე გაცვლიან ამ ახალს ბილეთებს იმავე ღირსების უწინდელ ფორმის ბილეთებზე, რომელნიც შემოსულან ხაზინაში სხვა და სხვა შემთხვევის გამო. 7) ყველა საკრედიტო ბილეთები ახლანდელის ფორმისა, რომელნიც გაცვლილან ახალს ბილეთებში, წარიგზავნებიან სახელმწიფო ხაზინაში და შემოწმების შემდეგ დაიწვიან წესისა მებრ. 8) სახელმწიფო ბანკს მიენდობა საზოგადო ზედამხედველობა სახელმწიფო ბილეთების გაცვლაზე და სისწორით გაუცვლიათ თუ არა ბილეთები, ამის შემოწმება მიენდობა სახელმწიფო საკრედიტო დადგენილებათა რჩევას და იქვე მორევიზიე კამიტეტს. თავის მხრით საფინანსო მინისტრმა უნდა მოიხმაროს ყოველ-გვარი საშუალება, რომ ბილეთების გაცვლა წარმატებით წარმოებდეს. 9) როდესაც გამოიანგარიშებენ, თუ რამდენიღა დარჩენილა კიდევ ძველი ბილეთები სავაჭროთ, საჭიროთ შერაცხვენ ამ ბილეთების გაცვლასაც უსათუოთ, რომ სრულებით ახლანდელი ფორმის ბილეთები აღარ დარჩეს ხმარებაში, მაშინ საფინანსო მინისტრი, როგორც რიგია, ისე წარადგენს, რომ გამოსცენ ხელ-ახლა გაცვლის კანონები. მმართებელი სენატი რამდენიც იმისგან შესაძლებელი იქნება, ცდას არ დააკლებს, რომ ეს მოიყვანოს ასრულებაში.

---

## არა ოფიციალური ნაწილი.

---

### რქიანი საქონლის შემოდგომის საერთო (ჭომფენი) ცხელება (სათლიჯამი).

ეს ავადმყოფობა თითქმის სრულებით ედარება ჭირს: როგორც ჭირმა იცის გადადება შეყრა და საქონლის ხოცვა, ისე ამ გაცივებისაგან მომხდარ ცხელებასაც, ანუ სათლიჯამსა ესეთი თვისება სჭირს. ეს ავადმყოფობა მარტო რქიან საქონელს დაემართება ხოლმე

და ისიც მაშინ, როდესაც წვიმებიან შემოდგომას დაიჭერს.

ამ სენის ნიშნები ძალიანა ჰგავს ჭირის ნიშნებს, თუმცა ცოტა განსხვავებაცა აქვს; ეს განსხვავება შემდეგია.

ამ სენის ნიშნები და მსვლელობა.

მომფენი (საერთო) ცხელების დასაწყისს ვერ შეჰნიშნავს კაცი. Ცხელებიანი საქონელი უცრივ მოუსვენარი და ველური ხდება, ასე რომ საშიშია იმის. ახლოს მიკარება,—ან არა და დარეტიანებულივით უგრძნობელათა დგას ერთ ალაგას. რქები, ენა და ცხვირი ენთება (უხურს), თვალები უყვითლდება, უელავს და ხან-და-ხან უსივდება კიდეც; მძიმედ სუნთქავს, გამოსუნთქული ჰაერი ცხელი და მყრალი იცის, პირში წითელი ლაქები უჩნდება, ვარეთ იშვიათად გადის, შარდი წითელი და ცხელი იცის, ტანში გასული კი მუქი და შემცხვარიევით. Ექვსისა ანუ ათი საათის შემდეგ (ხან ერთი დღე-ღამის შემდეგ) პირუტყვი უძლურდება, ყვითელი-წყალ-წყალა მუცელში ფალარათობა ემართება, წელი და კუდუსუნი უდუნდება (სწყდება), ბარბაცი მოსდის, ცხვირიდამ სისხლის მსგავსი ბაყლი გამოჰდის, ტუჩები უსივდება, გრძნობასა ჰკარგავს, კბილებს აკრაჭუნებს, თავს აცანცარებს, იმანჭება, თრთოლა მოსდის და ბოლოს ენას გარეთ აგდებს, თავს ზურგზედ გადიდებს და ისე კვდება სამი ან ოთხი დღის შემდეგ. Ამ სენით ავადმყოფი საქონელი ხან-და-ხან კვნესის, შფოთავს, ბღავის და დარეტიანებულივით უცებ დაეცემა ხოლმე დედამიწაზედ.

სიკვდილის შემდეგი ნიშნები (ლეშში მომხდარი ცვლილებაები). შემოდგომის სათლიჯამით მომკვდარ პირუტყვს რომ თავის ქალა აჰხადონ, თავში წყალი ექნება ჩამდგარი და ტვინიც გალაყებული ექნება; ტანი რომ გაუჭრან—ყველგან გაშავებული (მუქი) სისხლი ექნება ჩამდგარი; კუჭი წითელი ლაქებით ექნება მოფენილი; ღვიძლი—სამი ჩვეულებრივი (კარგა მყოფის) ღვიძლის ოდენა და ძნელად გასაჭრელი; ნაღვლის ბუშტი გაჭიმული ექნება და შიგ მუქი, წებოიანი ნაღველი იდგება. Ფილტვებიც წითელი ლაქებით ექნება მოფენილი. Პირშიაც-და ცხვირშიაც აგრეთვე წითელი ლაქები ან ზოლები ეყრება და ხან-და-ხან პატარა იარაებიც, თუ პირუტყვი დიდხანსა ყოფილა ავად.

გაფრთხილება.

როცა ეს სენი გაუჩნდეს საქონელს, მაშინ დილით ადრე არ უნდა გამორეკონ საძოვარზედ, თუ ან თოვლია მინდორზედ და ან თრთვილი; დამპალი ან წამხდარი საჭმელი არ უნდა აჭამონ; არც ნაგუბარი წყალი უნდა ასვან; მჭიდრო, დ ბუღული, ცხელი და დამპალი ჰაერიან გომებში საქონლის შენახვა მავნებელია; აგრეთვე სიცივესა და ცუდ ამინდს უნდა მოარიდონ; ამასთან უნდა ყური უგდონ, რომ საქონლის სადგომში ორი პირდაპირი მხრიდგან ქარი არა მუშაობდეს; საქონელი ყოველდღე ჩოტკით ან ნამჯით უნდა დაზილონ ხოლმე.

წამლობა.

ამ სენის მოსარჩენად ბევრი წამალი უხმარნიათ, მაგრამ საქონელი კი ძალიან იშვიათად მოურჩენიათ. რაც უნდა იყოს, მაინც სასარგებლოა შემდეგი წამლები იხმარონ: სულ პირველად, ავადმყოფობა რომ გამოაჩნდება საქონელს, როდესაც პირი, ენა, თვალები, ჩლიქები და რქები აენთება (გაუხურდება), კისრის ძარღვი უნდა გაუხსნან და ბლომა (ათითგან თორმეტ გირვანქამდე) სისხლი ადინონ (ორივე მხრიდგან რომ ერთად ადინონ—ემჯობინება). Ამის შემდეგ მაშინვე უნდა დაალევინონ ეს წამალი: ერთ ბოთლ aronica montana-თი(*)შენელებულ წყალში (ან დუღგულით-დაყენებულ წყალში და სხვ.) ექვსი მისხალი გვარჯილა და მისხალ ნახევარი პირიდამ სასაქმებელი ქვა უნდა გაურიონ და საათში თითო სტაქანი ასვან, ვიდრე მუცელში საქმობას არ დაუწყებს, ამასთან მარჯვენა გვერდზედ, საითაც ღვიძლი ძევს, პატრუქი უნდა ამუშაონ, ან არა—უკეთესი იქნება—გახურებული რკინით დაუდაღონ, რომ წუთხმა იდინოს. როდესაც ტანში ძალიან ფალარათი იქნება, მაშინ უნდა აიღონ ერთი ბოთლი მუხის ქერქის ნახარში, სამი მისხალი თუთია ან თეთრი შაბიამანი, მისხალ ნახევარი დანაყილი ქაფური და ათი მისხალი ლენცოფა-ბალახი, ერთად აურიონ და ორ საათში ერთი სტაქანი ასვან; მუცელ ქვეშაც ადუღებული წყალი უნდა შეუდგან და ამასთანავე საქონელს ზედ უნდა ჭილობები, ან რამე, დააფარონ, რომ ოროთქლმა ტანს კარგა დაუაროს; ეს წყალი ნახევარ საათს უკან უნდა გამოაცალონ და შემდეგ მთელი ტანი ძმრით უნდა დაუზილონ.

(*) Აფთექაში იკითხე.

როგორ უნდა მოიქცნენ, რომ ეს სენი სხვებსაც არ გადაედოს.

რადგანაც ეს მომფენი საქონლის ავადმყოფობა ძალიან გადამდებია და კარგა მყოფ საქონელსაც (მხოლოდ რქიანს) ადვილად შეეყრება ხოლმე, ამის გამო საქონლის პატრონები უნდა ამ გვარად მოიქცნენ:

1. რა წამს ეს სენი გაჩნდეს, მაშინვე მოხელეებსა და აქიმს შეატყობინონ.

2. Კარგა მყოფი საქონელი უნდა გაიყვანონ იმ გომიდგან, სადაც ავადმყოფობა გამოაჩნდა საქონელს და ამ ნაირად ავადმყოფებს დააშორონ.

3. მომკვდარი უნდა სწრაფად ჩაფლან დედამიწაში, ღრმად, ამასთან ტყავი უნდა დაუსერონ.

4. Ავადმყოფი საქონლის სადგომი ადგილი კარგა უნდა დაწმინდონ, შიგ ქარი ამუშაონ, მიწა გადათხარონ და რაც ნივთი იქნება შიგ—სულ ნაცარ-ტუტით უნდა გარეცხონ, ან თუ რკინეულია, ცეცხლში გამოწვან, წნელები კი სულ დაწვან.

5. საქონელი საძოვარზედ არ უნდა გამორეკონ,—უნდა გომებში ჰყავნდესთ და იქ მოუარონ.

6. Თუ საქონელი წამლობითაც არა რჩება, მაშინ უნდა დაკლან და, თუ აქიმი ნებას დაჰრთავს—ხორცი შეიძლება საჭმელად იხმარონ: ბევრს უცდია, რომ ამ სენით ავადმყოფი საქონლის ხორცი არ არის მაწყინარი კაცისთვის.

7. Ახლად ნასყიდი საქონელი არ უნდა შერეკონ ავადმყოფი საქონლის ნადგომ გომებში; ისინი სჯობია რომ ცხენების სადგომ ალაგში იკოლიონ.

საერთო (მომფენი) ფილტვის ანთება (ლპობა).

ეს სენიც მარტო რქიან საქონელს ემტერება. Შემოდგომაზედა და გაზაფხულზედ უფრო ჩნდება ხოლმე, წვიმების დროს; აგრეთვე ზამთარშიაც იცის გაჩენა, თუ ყინვებიანი ან ქარიანი ამინდი დაუდგა. Ეს ავად-მყოფობაც ძალიან შესაყარი თვისებისაა; თუ კარგა მყოფი და ავად-მყოფი საქონელი ახლო-ახლო არიან ერთმანეთზე, ან თუ ერთ გომში აბიან, მაშინ ეს სენი შეეყრება ხოლმე კარგა მყოფს ავადმყოფისაგან გამოსუნთქული ჰაერით. Ამის გამო ერთად არაოდეს არ უნდა დააგდონ.

## ამ სენის ნიშნები და მსვლელობა.

ამ სენით ავადმყოფი საქონელი შფოთიანობს, უმადოა, წყურვილი აქვს, მაგრამ როცა წყალს მიუტანენ, ან სალაფავს მისცემენ — ზარმაცათა ჰსვამს და ცოტცოტასა ჰყლაპავს; დილაობითა და წყლის დალევინების შემდეგ ახველებს; ხველება ხმელი და მჭახე იცის; მძიმეთა სუნთქავს და სუნთქვის დროს ნესტოებსა სჭიმავს; სულა დგას, თუმცა კი სუსტია; როცა დგას წინა ფეხებით გალაჯილია ხოლმე. ერთი კვირის შემდეგ, ხან-და-ხან ადრეც, ცხვირიდგან მყრალი ჩირქი დაუწყებს დენას, თვალები უცრემლიანდება, ძალიან მჭლევდება, სუსტდება, მალ-მალ ახველებს სუსტად და ნახველით. მძიმეთა და სუსტათა სუნთქავს, სუნთქვის დროს ხვრინავს და ცხვირს ასტვენს და ნესტოებიდამ სისხლიანი ჩირქი ჩამოსდის. გამონასუნთქ ჰაერს მყრალი სუნი აქვს; პირი და ფეხები უსივდება, მყრალი ფაღარათობა ემართება და ბოლოს, სრულებით დასუსტებული საქონელი სულს ველარ მოიბრუნებს ხოლმე და კვდება.

## სიკვდილის შემდეგი ნიშნები (ლეშში მომხდარი ცვლილებები).

ამ სენით მომკვდარ საქონელს რომ მკერდი გაუჭრან — შიგ ყვითელი ხაჭოს მსგავსი წალა ედგება; ფილტვის ორივე მხარე, მეტადრე მარცხენა, ექნება გაბერილი, გამაგრებული, ძნელი საჭრელი და სახით მარმარილოს მსგავსი; ბევრ ალაგას მყრალი ჩირქი აქვს ჩამდგარი, უმეტესად მარცხენა ფილტვის ბოლოსთან ბევრი დაუგუბდება ხოლმე. ადრე დაკლულის ფილტვებზედ წითელი ლაქები და ზოლები ექნება და მკერდის შიგნითაც ედგება წყალ-წყალა ყვითელი ჩირქი, რგოლების სახით.

ეს ავადმყოფობა რომ ძალიან არ გაუძლიერდეს საქონელს, პატრონები უნდა ამ გვარად მოიქცნენ: სამყოფად ყოველთვის მაღლობი ალაგი აურჩიონ (ჭაობიანი და ჩავარდნილი ალაგი მაწყინარია); ახალი ან კარგა შენახული საჭმელი უნდა აჭამონ; ნაგუბარი წყალი არ უდა ასვან; დილით ადრე არ უნდა გამორეკონ მინდორზედ, არც უზმაზედ: ჯერ უნდა აჭამონ და მერე გამორეკონ; ნიაღვრებს შემდეგ რომ საქონელი მირეკონ შინ — ჩოტკით ან ნამჯით უნდა დაუსრისონ ტანი; გომში მჭიდროდ არ უნდა ჰყვანდესთ, გომი ყოველთვის დაწმენდილი უნდა იყოს, კარები ხშირად უნდა გაალონ ხოლმე და ნეხვიც არაოდეს არ უნდა დააგროვონ შიგ: მაშინვე გარეთ უნდა გამოიტანონ ხოლმე.

## წამლობა.

ამ სნეულებისათვის ყველაზე კარგი წამლობა ეს არის.

პირველად რომ ავადმყოფობა გამოაჩნდება, გააცხელებს, წყურვილი აუტყდება და ხმა მაღლა დაიწყებს ხველებას, მაშინ ეს წამალი უნდა ასვას: ერთ ბოთლ სელის ნახარშში სამი მისხალი ვვარჭილა და მისხალნახევარი ნიშადური უნდა გაურიონ და ერთი ბოთლი ერთად უნდა დაალევინონ; ეს წამალი სამ დღეს უნდა იხმარონ. მკერდის აქეთ-იქით გვერდებზედ ათ დღეს პატრუქი უნდა ამუშაონ. ავადმყოფ საქონელს ტანი ყოველ დღე ნამჯით უნდა დაუზილონ და ღამით კი მოხარშული (ცხელ-ცხელი) ქერი უნდა ჩამოჰკიდონ თოფრით და ერთი საათის მეოთხედი (თხუთმეტი წამი) ისე გაუშვან, რომ ავადმყოფმა საქონელმა ცხელი ქერის ორთქლი შეისუნთქოს. თუ სამი დღის უკან უკეთ არ შეიქნას, მაშინ ეს წამალი უნდა ახმარონ: აიღონ სამი მისხალი პირიდამ სასაქმებელი ქვა, ცხრა მისხალი რკინის შაბიამანი (აფთექაში ჰყიდიან ამეებს), ამას ცოტა ფქვილი და წყალი მიუმატონ, აზილონ ერთად და იმ ცომიდგან სამი აბი (სორსალი) გააკეთონ: ერთი აბი დილით ჩააყლაპონ, მეორე — შუადღისას და მესამე — სალამოზე. ამასთან უნდა კარგი მარილ მოყრილი თივა აჭამონ და წყლის მაგიერათაც მარილ-წყალში არეული ფქვილი ასვან.

ბევრჯერ უცდიათ და დარწმუნებულან, რომ ეს წამლობა თითქმის ყოველთვის არჩენს სენიან საქონელს. მანამ ეს სენი არ არის გაძლიერებული საქონელში, იმისი ხორცი იჭმევა, რადგან არაფერ ვნებას არ აძლევს კაცს.

## გაფრთხილება, რომ ეს სენი სხვებსაც არ გადაედოს.

რადგან ეს სენი ერთად ბევრ სულს აჩნდება ხოლმე, ამისგამო ყველასთვის ადვილი შესატყობიც არის. გამოაჩნდება თუ არა საქონელს ეს სენი, პატრონი ვალდებულია მაშინვე მოხელეებსა და აქიმს შეატყობინოს, რომ იმათ საჭირო განკარგულება მოახდინონ.

ამასთან ესეც უნდა აღასრულონ:

1. საძოვარზედ არ უნდა გამორეკონ საქონელი: სულ გომში უნდა ჰყვანდესთ.
2. ავადმყოფი საქონელი უნდა გააშორონ კარგა მყოფებს და ცალკე მოუარონ.
3. რომელიც მოკვდება — ღრმად უნდა ჩაფლან მიწაში, ამასთან საძოვარზედა და გზაზედ მოშორებით.
4. მომკვდარი საქონლის ტყავი შეიძლება იხმარონ, ეს კია რომ უნდა ნაცარ-ტუტში გარეცხონ კარგად.
5. ყველა ნივთი და იარაღი, რაც კი სენიან საქონელს ახლო ყოფილა: ჭურჭელი რამე, ნიჩფები, ბაგები, თოკები და სხვ. — სულ უნდა ადუღებულ ნაცარტუტში გამოხარშონ (გარეცხონ), რკინეული ცეცხლში გამოწვან და წნელები კი დაწვან.
6. ახლად ნაყიდი საქონელი ცალკე უნდა შეინახონ ცხენების სადგომ თავლებში, რომ ავადმყოფისგან იმასაც არ გადაედოს სენი.

შემდეგში კიდევ სხვა ავადმყოფობაზედ ვილაპარაკებთ.

---

## კახეთიდამ.

თელავი, 2 თებერვალს.

კაცობრიობა ერთს წერტილზე არა სდგას; დრო გადის და დროს განმავლობით მისი ცხოვრებაც იცვლება, მოძრაობს. მართალია ეს უკანასკნელი სიტყვა, მოძრაობს, ვიხმარეთ, მკითხველო, მაგრამ ეჭვი კი გვაქვს ჩვენ ამ სიტყვაში. რათა, იქმნება სთქვას მკითხველმა, ამას საეჭვო რა სჭირს! ამისთვის რომ ამ სიტყვას სხვა-და-სხვა ნაირი მკითხველი თავ-თავის გემოზედ გადააკეთებს, და მას თავის მოსაწონს აზრს მიუთვისებს. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ესეც უნდა მოვახსენო მკითხველს, თუ მრავალ-სიტყვაობაზედ არ გაგვიწყრება, რომ ესრეთი აზრი შესახებ ხსენებულის ჩვენ მიერ სიტყვისა უმიზეზოდ არ მოგვსვლია. ეხლანდელი ჩვენი საქართველოს ხალხი, თუ თქვენც მეთანახმებით, მკითხველნო, განიყოფებიან ორ ნაწილად: ერთს მათგან რწამს, ვითომც წარმატება არაფერს კეთილს საქმეში არ იყოს, არამედ ყოველი სულდგმული ივლტოდეს ერთის ბოროტისადმი, რომლის დასამტკიცებლათაც ის ხშირად იმეორებს: „სარწმუნოება მოუძლურდა, და ზნეობა დაცემულ იქმნა;“ ხოლო მეორე ნაწილს რწამს, რომ კაცობრიობა წინ-მოძრაობს ყოველს კეთილს

საქმეში თავის გონების განათლებით. როგორ არ მიიღოს კაცმა უფრო გონებასთან და ჭეშმარიტებასთან დაახლოვებულად ამ უკანასკნელად აღნიშნულის ჩვენ მიერ კაცობრიობის ნაწილის აზრი, როდესაც ის გამოღებულია კაცობრიობის ცხოვრებიდგან, ანუ არის მისი შედეგი. თვალით ხილული ჭეშმარიტება არის, რომ ამ უკანასკნელს შემთხვევაში კაცობრიობა, ანუ საზოგადოება უყურებს თავის წარსულს ცხოვრებას, ათანხმებს ერთმანერთთან თვალით ხილულს ისტორიულს ფაქტებს, გამოუსადევს და ცხოვრებაში საზარალოს თავს ანებებს, ხოლო სასარგებლოს, გამოსადევს და დროებითს გარემოებებთან თანახმას თავის მშვიდობიანობის და საკეთილდღეო კანონებათ ხდის. ამისთვისაც ცხოვრების კანონნი, ანუ სამოსამართლო წესდებულებანი ყოვლის საზოგადოებისა, ანუ სამეფოსი დროების შეხედულობით ხშირად იცვლებიან, რათა ამ გვარის ცვლილებით მიენიჭოს სამეფოს, ანუ რომელსამე საზოგადოებას მართლ-მსაჯულება, და მით მშვიდობიანი ცხოვრება უწინდელზე მომატებულად. ერთი ამ-გვარ ცვლილებათაგანი, რომელიც თითქმის ყოველმა ქართველმა შეიტყო, მოხდა ჩვენს საქართველოშიაც. საკუთრად ისრეთი რა ცვლილება მოხდა საქართველოში, რომელსაც ექმნება დიდი გავლენა მისს მშვიდობიანს ცხოვრებაზედ? როგორც თქვენც იცით, ჩვენო თანამემამულე მკითხველნო, ის ცვლილება მოხდა, რომ ხელ-ახლად შეადგინეს და შეიყვანეს მოქმედებაში ისრეთნი სამოსამართლო წესდებულებანი, რომლების მოთანამდებე პირთ გულ-წრფელის და კეთილ-სინიდისიანის აღსრულებით დაფუძნდება საქართველოში, როგორც ხალხსაც გამოეცხადათ: „სამართალი სწრაფი, მართალი, ლმობიერი და თანასწორი ყოველთა ხელმწიფის ქვეშევრდომთათვის“.

ამ-გვარად სამოსამართლო წესდებულების დაწყობა,. მკითხველო, არის ენით გამოუთქმელი მოწყალება და ბედნიერება სახელმწიფოსთვის საზოგადოდ და საკუთრად გაუნათლებელის ჩვენის საქართველოს მხარესთვის. მხოლოდ ერთი წარმოდგენა ამ დრომდის ჩვენის საწყალის გლეხის კაცის უგზო უკვლოდ ათსა და ოცს წლამდის სიარულისა სხვა-და-სხვა უთვალავ სასამართლოებში, და ამ მიზეზის მიერ მისი უბრალოდ მოცდენა, ხარჯვა ფულებისა და მათგან ბოლოს ძლივს შეტყობა რისამე, ცხადად დაგვანახვებს, თუ ვითარ საჭირო და სასარგებლო არიან აწინდელნი სამოსამართლოს წესდებულებანი. იმაზედ მეტი რაღა ბედნიერება უნდა ამ-ხანად ჩვენს საწყალს ხალხს, რომ ის არა საჭიროებდეს ზოგი ერთ პირთან მისვლას და მის წინ მუხლ-მოდრეკას შემდგომი ვედრებით: გთხოვთ, ბატონო, ამა-და-ამ საგანზე გზა გამიკეთოთ და ჩემი თავიც იმსახუროთ, ანუ-შემიტყოთ ესა-და-ეს ჩემი საჩივარი სად და როგორ სწარმოებს? ხოლო ამას შემდეგ რა საგანზედ იქნებოდა იმათ შუა საუბარი, ამას მკითხველი, ვგონებ, კიდეც მიხვდა... მაგრამ ეხლა კი დრო არის გაიხარო, ქართველო, რადგან არც არზაზედ ხვეწნა დაგჭირდება და არც ათი ანუ თხუთმეტი წელიწადი გაგიგრძელდება საჩივარი; შენს საჩივარს შენისვე პირით დიდის-ხნის გულში მოხარშულის სიტყვებით აღიარებ წინაშე მოსამართლისა, რომელიც მცირეს დროს განმავლობაში დააბოლოვებს შენს საჩივარს და შემდეგ ჯეროვნად დაკმაყოფილებული უხარჯოთ დაბრუნდები შენი საყვარელი ოჯახისკენ.

მართალია, მკითხველო, ახლად დაწყობილნი სამოსამართლო წეს-დებულებანი არ შეეხებიან მხოლოდ ერთს გლეხს ხალხს, მაგრამ ჩვენ მაგალითად ტანჯვისა და შეწუხებისა ვაჩვენეთ ანუ წარმოვადგინეთ ის მისთვის, რომ, ძველნი სამოსამართლო წესდებულებანი იმას უფრო სხვაზედ უმეტესად აწუხებდნენ, რადგან იმან არ იცოდა მრავალ-ნაირად დახლართული სასამართლოს გზები და კანონები, რომლითაც მას თვის თხოვნაზე ნამდვილი და სწრაფი გადაწყვეტილობა მიეღო.

ამ-გვარს სამოსამართლო წესდებულების ცვლილებას, დაფუძნებულს გამოცდილებაზე დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ისტორიულს ცხოვრების მოძრაობაში. მაშასადამე ამგვარმა მისმა მნიშვნელობამ უნდა გააბედვინოს მწერალსაც შენიშვნა მისი, თუ პირველად როდის და რა ნაირად მოხდა მისი გამოცხადება რომელსამე მხარეს? ჩვენც გვაქვს აზრში ვაჩვენოთ, თუ როდის და რა ნაირად მოხდა ხსენებულის ჩვენ მიერ სამოსამართლო წესდებულების გამოცხადება საქართველოში, მაგრამ რადგანაც არ შეიძლება, რომ კაცი ერთსა და იმავე დროს იყოს სხვა-და-სხვა ადგილს და შენიშნოს ყოველივე, რაც იქ მოხდება ხოლმე, ამისთვის ჩვენ ავწერთ სამოსამართლო წესდებულების გამოცხადებას და იმ დღეს ხალხის მოძრაობას მხოლოდ იქ, სადაც ჩვენ დავესწარით, სახელდობ ქ. თელავს, ხოლო სხვა ადგილებისა იქ მყოფთ და დამსწრეთ იციან.

მკითხველთან კი ბოდიშს ვიხდით, რომ ის აქამდის შევაწუხეთ სხვა-და-სხვა მისთვის მოუწონარის ლაპარაკით, მაგრამ იმის იმედიცა გვაქვს, რომ ის მოგვიტევებს შეცოდებას, რადგან მოთმინებისა და სულის საცხონებელი დრო გახლავთ—დიდ-მარხვა.

აი ვითარს მდგომარეობაში ვხედავდით ჩვენს მცირე, ღარიბს და ყრუ ალაგს მივარდნილს ქალაქს თელავს 19 თებერვალს 1868 წლისას.

დილით მზემ ღრუბლით დაფარულმა განათა ზამთრისებური სიცხოველით ეს დღეცა. თუმცა დედამიწის ზურგი წუხანდლის და ამ დილითაც მომდინარე მცირეს თოვლით იყო დაფარული, მაგრამ ეს კიდევ ვერ აბრკოლებდა აქ—მცხოვრების ხალხის მიმოსვლას მეიდანზედ და ქუჩებში, და ეგრეთვე მოსვლას ამ ქალაქის უეზდის სოფლების წარმომადგენლებისას—მამასახლისებისა' თავიანთ მსაჯულებით. დღევანდლის საქმის არ მცოდნე კაცსაც რომ გაეარნა თელავის მეიდანზედ, იფიქრებდა, რომ დღეს უთუოთ დიდი რამ საქმე არის ამ ქალაქშიაო და მოიცდიდა, რომ იმასაც ეყურებინა ამ სეირისათვის. ამ-გვარი ხალხის მიმოსვლა მეიდანზე და ქუჩებში იყო დიდ-მარხვის, როგორც ქართველებმა ვიცით, შუადღის ლოცვამდის. ათს საათზე დაირეკა ზარები ლოცვისათვის და ხალხმაც მიმართა ეკკლესიებს. ლოცვების დროს ეტყობოდა, რომ ერთი ნაწილი ხალხისა ეკკლესიებში ლოცულობდა ამ სასიხარულო და სასარგებლო ამბის შეტყობაზე, ხოლო მეორე ნაწილი ემზადებოდა, თუ სად და რა წესზე გამოაცხადოს ეს ახალნი სამოსამართლო წესდებულებანი. რასაკვირველია, ამათი ერთი ერთმანეთთან შემოყრა და ამ-გვარის სამოსამართლო წესდებულების გამოცხადების დაწყება უმჯობესი იქმნებოდა ღვთის სახლში-ეკკლესიაში ლოცვით, რადგან კაცმა ქრისტიანობრივის ეკკლესიის წესდებულებით ყოველივე საქმე უნდა დაიწყოს და გაათავოს ლოცვით. ჩვენს ქალაქშიაც ჭეშმარიტათ აღასრულეს ისრეთი მართლ-მადიდებელთ ეკკლე-

სიის წესი. ყოველს ეკკლესიებიდგან და ყოვლის ქალაქის ქუჩებიდგან ხალხი ლოცვის შემდეგ შეიკრიბა ერთს ეკკლესიასთან-სობოროსთან, რათა იქ სიხარულით აღტაცებულის გულით სამადლობელი პარაკლისი მოისმინონ და ღმერთს მადლობა შესწირონ, რომ ამისთანა კანონიერს და სწრაფ სამართალსაც ესწრებიან. ჰაერმაც ამ-გვარს ხალხის სიხარულს ხელი შეუწყო, თოვლი აღარ მოდიოდა, და ისინი სიამოვნებით იდგნენ ეკკლესიის გარეთ, რადგან სასიხარულო უწყებას მოელოდნენ. ეკკლესიასთან იყვნენ შეკრებულნი ქართველებს გარდა-მცირე რიცხვი რუსებისა, სომხები და თათრები თავიანთ მაღალის ქუდებით. თუმცა ბუნება მაისისას არა გვანდა, მაგრამ იმის მაგიერ სხვა-და-სხვა ფერნი, ქართველთ გემოვნებაზე შეკერილნი ქალის და კაცის ტანთ-საცმელნი აშვენებდნენ როგორც ეკკლესიას, ეგრეთვე მის გარეშემო მდებიარე ადგილსაც და შემდეგ საზოგადო ქალაქის მეიდანსაც. შუადღის ლოცვა აღასრულა ადგილობრივმა სობოროს მღვდელმა დ. მ. ქართულს ენაზე. როდესაც ლოცვა გათავდა, იწყეს მზადება გარეასახდელად სამადლობელის პარაკლისისა ოთხმა მღვდელმა. პარაკლისი რუსულ ენაზე გადიხადეს. . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . , . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

გათავდა შესხმაც, რუსულს ენაზე წარმოთქმული და მით შუადღის ლოცვაც სამადლობელის პარაკლისით. შემდგომ ამისა განემზადნენ სამღვდელონი წესისამებრ: ჯვარით, სახარებით და სხვა საჭირო საეკკლესიო ნივთებით და განემგზავრნენ უეზდის სასამართლოსკენ. წინ მიჰქონდათ ეკკლესიური დროშები, ანუ ალმები, მას უკან მისდევდნენ სამღვდელონი თავისის სამღვდელ-ეკკლესიურის შესამოსით, ხოლო მათ შემდეგ ტფილისით წარმოგზავნილი სამოსამართლო წესდებულების გამოსაცხადებლად, მათი ბრწყინვალება თავ. ვახტანგ ორბელიანი და მათთან ყოველი, სხვა-და-სხვა ფრის ტანთ-სამოსით აყვავებული ხალხი. აქვე იყვნენ ყოველი თელავის უეზდის მამასახლისები თავიანთ მსაჯულებით.

ესრეთის მოგზაურობით მივიდნენ აღნიშნულს უეზდის სასამართლოში. აქ გარდაიხადეს რუსულად სამადლობელი პარაკლისი, დააფიცეს ახლად დადგენილნი მოთანამდებე პირნი, ხოლო შემდეგ დაბრუნდნენ თელავისავე უეზდის სასამართლოში. აქაც გარდაიხადეს რუსულადვე სამადლობელი პარაკლისი და დააფიცეს ახლად დანიშნულნი მოთანამდებე პირნი. ამას შემდეგ გამოვიდნენ ამავე სასამართლოს წინ მდებარე მეიდანზედ და წაიკითხეს ქართულს ენაზე განცხადება ახალის სასამართლოს წესდებულებაზე. ხალხის შეხედულობა ამტკიცებდა, რომ ის ამ გამოცხადებით მიეცა აღტაცებულს გულითადს სიხარულს და თავის ბედს ლოცავდა. ესრეთი სიხარული იმდენად ძლიერი და აღმატებული იყო, რომ გულმა ველარ დაიტივა თავის საზღვრებში და სიუხვისა გამო გულითადის სიხარულისა ენამ იწყო ლაპარაკი. მაგ., აქ მეიდანზე წარმოსდგა მათის ბრწყინვალების გენერალ-მაიორის თავად ვახტანგ ორბელიანის წინ ერთი თელავის უეზდის მამასახლისთაგანი, რომელმაც მთელის აქ მდგომის ხალხის მაგიერ ქართველის სიყოჩაღით და გაბედულობით წარმოსთქვა შესხმა. იმის სიტყვები, რომლების ნამდვილი ჩვენ ხელში არა გვაქვს, შენიშვნის ღირსნი არიან, ამისთვის რომ ისინი იყვნენ გამოცდილებით გამოკრეფილნი თვით თავიანთ ცხოვრებიდგანვე. ხსენებულმა მამასახლისმა თავის შესხმაში სხვათა შორის სთქვა, რომ ჩვენ, საქართველოს ხალხს საზოგადოთ და საკუთრად გლეხებს მოგვეცა დიდი შემწეობა და შვება ამ უკანასკნელ წლებში. ახლა უწინდებული ბატონ-ყმური უდიერობა აღარ არის ჩვენში. გარდა ამისა თუმცა აქამდისინ ჩვენ ყველა მხრით დაბნელებულნი ვიყავით: გონებით ჩვენს ცხოვრებაზე არას ვფიქრობდით, თვალებით ვერას ვხედავდით—ვერც კეთილს, ვერც ბოროტს, რადგან იმათი გარჩევის შნო არა გვქონდა, ჩვენი ყურებიც საზარალოსაც სასარგებლოდ ისმენდნენ, ხოლო ფეხებით სწორეთ, გაბედვით და მუხლ-გაშლით ვერ შევიდოდით სასამართლოში, რადგან იმის მრავალ ნაირად დახლართული გზა ჩვენ არ ვიცოდით და ჩვენი ენაც ჩვენ აღარაფერს გვარგებდა; მაგრამ ახლა, მადლობა ღმერთს, გონებაც გაგვეხსნა, თვალებიც აგვეხილდა, კეთილი და ბოროტის ღირსებაც გვესმის და სასამართლოს გზაც გაგვიადვილდება, როგორც ეს ახლა გამოგვეცხადა. ამისთვის გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რათა ჩვენს მაგიერ განუცხადოთ მათს უმაღლესობას კავკასიის ნამესტნიკსა და მით მათს დიდებულებას ხელმწიფე იმპერატორს გულითადი ჩვენი მადლობა ამ გვარს მაას მამობრივს მზრუნველობაზე.

ამას შემდეგ ერთი ნაწილი ხალხისა განემგზავრა თელავის უეზდის სახალხო სასწავლებლის სასახლეში, სადაც თელავის საზოგადოებას ჰქონდა მომზადებული სადილი; ხოლო მეორე ნაწილი ხალხისა წავიდა თავთავიანთ სადგომებში, რათა შუადღის ხანზე სადილს შეექცნენ და ისმიონ კახურის ღვინისგან სადღეგრძელო საქართველოსი საზოგადოდ და საკუთრად იმ პირებისა, რომელთაც, როგორც კეთილ-საიმედო პირთ, მთავრობამ მიანდო მართვა ჩვენის მხრისა ამ ახალს დაწყობილს სამოსამართლო წესდებულების საფუძველზე.

სადილს შეექცნენ და სადღეგრძელოებიც მიირთვეს, მაგრამ, მკითხველო, ამით კიდევ არ გათავებულა დღევანდელი დღესასწაული. საღამოზედაც ვხედავთ დღევანდლის სიხარულის შემდეგს. თუმცა მზეც ჩავიდა და ბინდიც მოახლოვდა, მაგრამ ახლა იმათი ადგილი თელავის ბაღში და მეიდანზე ჩირაღდნებმა დაიჭირეს. ესენი ბუნებით მშვენიერად შემკულს მდებარეობას სამოთხის სახეს აძლევდნენ, უნათებდნენ გზას მიმომსვლელს ხალხს და მით ვითომც აგრძნობინებდნენ მას, რომ აუცილებელის მომავლის სიბნელისაგან, შენზედ მფლობელის და მფარველის კეთილ-ნებობითმა მზრუნველობამ გიხსნა. ამ-მიზეზით ახლა ნება მოგეცა გაახილო თვალები და ახალ სამოსამართლო წესდებულების შუქის თანაშემწეობით იხილო ყოველივე შენ მიერ გამოვლილი ნაკლულევანება. იქნება ამ-დრომდისაც ვერ გაიგე, ქართველო, რომ ბევრს უკანონობას იღებდი ძველის სასამართლოებისაგან, და ბევრს ნაკლულევანებასაც, ანუ ზარალს გძლევდნენ იქ მყოფნი აქამომდე სამოსამართლო წესდებულებანი. იცოდე, რომ ესე არა ყოფილიყო არც ამ-გვარს ცვლილებას მისცემდნენ მას; იცოდე რომ ყოველსავე ახალს—სამოსამართლო წესდებულება იქნება თუ სხვა, მხოლოდ მაშინ მიიღებს მთავრობაც და მასთან ხალხიც, როდესაც ძველში შეამჩნევენ ნაკლულევანებას. მაშასადამე, ქართველო, ჩვენ აქედგან უნდა გამოვიყვანოთ ისრეთი დაბოლოება, რომ აქამომდე მყოფი სამოსამართლო წესდებულებანი კიდევ ისრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ი ყოფილან დაახლოვებულნი ჩვენს ცხოვრებასთან, რომ იმის საფუძვლით ახლაც შეგვძლებოდა მოგვეპოვებინა კეთილ-დღეობითი და მშვიდი ცხოვრება. ხოლო რაიცა შეეხება ახლად დაწესებულთ სამოსამართლო წეს-ებულებაებს, იმედი არის, რომ ისინი ჩაცვივდნენ კეთილ-სინიდისიანის მოსამართლის ხელში, და მაშინ ჩვენი გაჭირვებული ქართველი, კაცი . . . მდუღარის გულით იტყვის: ვენაცვალე ღმერთო, შენს მადლს, რომ ამისთანა საჩქარო სამართალსაც შემასწარიო. მაგრამ რაღას ვაგრძელებთ, ჩვენ ჩვენი გავათავოთ, ხოლო შემდეგ ყველა საჭიროებას და სარგებლობას თვითონ დროება დაუფასებს.

კახელი.

## ქიზიყელები ინგილოებში.

აქ სად მოსულხარ?.... რაც დაჰკარგე
და რაც დასტოვე
მის მაგიერი ტფილისშია აბა არ ჰპოვე?

მე ეჭვი არა მაქვს, რომ ჩვენ ქართველები ყველანი სასოფლო მეურნეობაში შეთხუმაძეები ვართ. არც მე, არც თავადმა, არც აზნაურმა და არც გლეხებმა არ ვიცით რა გვარათ უნდა ვიმუშაოთ. ჩვენი ყველასი შრომა უანგარიშო არის. მაგრამ ეს რა ვსთქვი? ჩვენში ჯერ ერთი გლეხ-კაცის მეტი არავინ მუშაობს. თავად-აზნაურობა ამას არ იკადრებს. მაგრამ დახე, კიდევ შემცდა. ეხლა ხომ ბატონ-ყმობა გათავდა. მაშ ვინ უმუშავებს ბატონს, თუ არა თვითონ თავისი თავი? მაშ თუ თავის თავს ეხლა თვითონვე არ უგებს საზრდოს, მაშ ვინ უგებს? ვინ უგებს— და ვალი. თვითონ მუშაობას არ კადრულობს და თუ რამე დააკლდება ცხოვრებაში, ვალს აიღებს და იშოვის საზრდო-საცხოვრებელს. ჯერ ჩვენ თავად-აზნაურობას იმდენი ცოდნა არა აქვს იცოდეს, რომ მხოლოდ ერთად ერთს გონივრულ შრომას შეუძლიან იმის ცხოვრება გააუმჯობესოს და გააფაქიზიანოს. მხოლოდ ვინც მუშაობს, გლეხია, თუ თავადი, ისიც უანგარიშოთ, უნაყოფოთ მუშაობს. ამის გამო ჩვენ ყველანი თავით-ბოლომდინ ღარიბ-ღატაკნი ვართ, დავალებისაგან თავები მაღლა ვერ აგვიწევნია. მაშ აბა ახლა იფიქრე, მკითხველო: კაცს რომელი ურჩევნია ორ ჭირთაგან: ვალი თუ ყმობა? რომელი უფრო ჰჩაგრავს კაცს: ვალი თუ ყმობა? მე ვგონებ, რომ ცხოვრებაში ესენი ორნივენი და-ძმანი იყვნენ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჭკუა-გონებას კაცს ვალი უფრო უჩაგრავს, ვიდრე ყმობა, თუმცა ესენი ორნივენი ერთს პრინციპს ემორჩილებიან. ესენი ორნივენი კაცს თავისუფლებას ართმევენ, მაგრამ აბა წარმოიდგინე, მკითხველო: ბატონის უვალო ყმა და სომხის ღარიბი ვალის ამღები— რომელს უფრო თამამი ცხოვრება აქვს? რომელი უფრო ცოცხალია და თავის უფალი მოაზრე, დაღონებული და დაფიქრებულია? რომელი უფრო შეუპოვრად და კაცურად ცხოვრებს? სიმდიდრე კაცს უხსნის მოსაზრებას და გამბედაობას; მოგებული ფული კაცს აიმედოვნებს თავის ღონეზე; იმედს აძლევს თავის ჭკუაზე. კაცი რომ გამდიდრდება, მაშინ ის იცავს თავის სიმდიდრეს მტაცებელთაგან; ერთის სიტყვით არავის ნებას არ აძლევს, რომ მის საზარალოთ ვინმე მოქმედებდეს. ის ყველასთან ამაყი, თამამი და დიდგულია, და თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ის ლა აგონდება, რომ ბატონისაგან თავისუფლება მოიპოვოს. ასეთი არ არის ღარიბი კაცი. იმას ჭკუის მეტი არაფერი ახსოვს, ის დაფიქრებული და დაღონებულია. ის გაქელილია სიღარიბისაგან. ის ყოველს ძალას და სიკაპასეს ემორჩილება. ყველას წინ ცურავს, იკუჭება, მცირდება და შიშობს, სულ კისერში მუშტს რომ სცემენ, მაინც ხმას არ იღებს ყველაფერში სხვას ენდობა, სხვისგან მოწყალებას და შემწეობას ითხოვს, თავისუფლების და საკუთრების დაცვა არ შეუძლიან. ერთი სიტყვით ის ჯერ მონაა თავისი სიღარიბისა, მერმე ვალის პატრონისა. ვალის პატრონს დაინახავს თავს ჩაჰკიდებს, მოხარკეს, მეველეს და დალაქს დაინახავს პირს აქცევს და მათზე ღვთის რისხვას მოუწოდებს; შინ რომ ცოლ-შვილი აუტირდება შიმშილით და სიცივით, მაშინ კიდე ცრემლით მორეულს თვალებს თავის სიღარიბეს არიდებს; ასრე თუ ისრე მაინც ბრუნდება. ამით ის, რასაკვირველია, ცხადათ გამოთქვამს, რომ ის სიცოცხლეს უწყრება და ემდურება.

აბა ახლა, მკითხველო, ის იფიქრე: შეუძლიან ღარიბ გლეხ-კაცს გულიანათ იმუშაოს? . . . . . . . . . . . . . . მოიგებს თუ არა ვალის ამღები, მოვალეს მიაქვს. ამის გამო ესენი იმას ფიქრობენ, რომ მათ თავიანთი მონაგარი თვითონ არ შერჩებათ და ყველაფერს სხვანი გამოაცლიან ხელიდგან. აქამდე ბატონ-ყმობა და ეს ჩვენი დიდი ვალები იყვნენ მიზეზნი, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა არ გაიხსნა; ახლა პირველი მოისპო, მეორე კი ისევ ღონივრათ მოქმედებს.

მე ზემოთა ვსთქვი, რომ ჩვენში ჯერ აქამომდე მხოლოდ გლეხნი მუშაობენ, უჭირავთ ხელში მთელი სასოფლო მეურნეობაო. ამაში ეჭვი არ არის. გლეხ კაცი უგებს საზრდო საცხოვრებელს აზნაურს, თავადს, მღვდელს მოხელეს და თავის თავს. ამის გამო ეს შრომა მით უფრო უსიამოვნო არის იმისათვის, რომ ამ საქმეს მის მეტი ხელს არავინა ჰკიდებს, და თვითონ იმასაც მხოლოდ ერთ უსიამოვნების მეტს არა ვითარს ხეირს არ აძლევს. ჩვენში თუმცა ბატონ-ყმობა გათავდა, მაგრამ ვინც ჭკვიანია და მდიდარი, ის მაინც და მაინც დღესაც შოულობს თავისათვის მონებს და თავის სასარგებლოდ ამუშავებს უღონოებსაც და ღარიბებსაც. ამ გვარათ ღარიბი, თუმცა ბატონს მოურჩა, მაგრამ სიღარიბეს და ვალის პატრონს, არ იქნა, თავი ვერ დაახწივა. ის სიღარიბის მონაა.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

გლეხის პირ-და-პირი ანგარიში იმაში კი არ მდგომარეობს, რომ საქმე კარგათ გააკეთოს, არამედ იმაში, რომ იმან ერთგულათ არ ამუშაოს, არც თავისი ხელი და არც თავისი ჭკუა-გონება. ყველა საქმეში თითქმის კაცი მოიგონებდა რასმე თავის სამუშაოს გასაუმჯობესებლათ; იმათი მოგონებაც ძნელი არ იყო, ამისთვის, რომ ნაკლულევანება ყველას თითქმის თვალში ელანდება, ოღონდ კი გლეხი ერთი ცოტაოდენათ დაფიქრდეს; მაგრამ ვინ იკისრებს იმას, თუნდ რომ ის ძლიერ ცოტა შრომასაც მოითხოვდეს მისგან. გლეხი იმას არ გაბედავს ჯერ ამისათვის, რომ მისთვის საჭირო არ არის სამუშაო ხელობის გაუკეთესება. ამის გამო ვიდრე სამოქმედო ხელოვნება ვალის ამღების ხელშია, იარაღების გაუმჯობესობა და საქმის გაუკეთესება თითქმის არაოდეს არ შეიძლება. აბა იქ იარაღები როგორ გაუკეთესდება, სადაც ერთი გლეხი მეორე გლეხს ასწავლის ხელობას, როდესაც ხელობა ერთი შეუძლებელი ხელიდამ მეორე ღარიბის ხელში გადადის, მაშინ ის მუდამ არ ვარგობაში მოდის; და ამისთვის საზოგადოება მუდამ ღირიბდება, და ამ შემთხვევაში ის თავის უბედურებას მხოლოდ მაშინ ხედავს, როდესაც საქმე სრულებით წამხდარია, და აღარ გასწორდება. მე-

რე ამ გვარ მდგომარეობაში კაცი წინანდელს ხელობას თავს ანებებს და სხვას მიჰყოფს ხოლმე ხელს, რადგან საზოგადოება უკან მიდის და ნელ-ნელა ირღვევა. ასე მოხდა მაგ. რომის ისტორიაში მის არსებობის უკანასკნელს დროს. მუშაობის ხელობა მხოლოდ მონებს ეჭირათ ხელში. დიდ-კაცობა მუშაკობას არ კადრულობდა. ამისთვის მთელი ხალხის გამოკვება დაბალს ხალხს ედვა კისერზე. სასოფლო მეურნეობა მონების მეტმა, როგორც ეხლა ჩვენში, სხვამ არავინ იცოდა. ამის გამო ნაყოფიერი ადგილები ძლიერ გაღარიბდნენ. მამულის პატრონებმა როდესაც ნახეს, რომ მიწა მოსავალს წლითი-წლად მუდამ კლებულობს, აღუკრძალეს მონებს ხვნათესვა დი თავიმი მინდვრები საძოვრათ აქციეს, მხვნელ-მთესველები კი მეძროხებათ.

სწორეთ ამ გვარ მდგომარეობაში არის ეხლა ქიზიყი. აქ ეხლა მოსავალი არ მოდის. ამის გამო ეხლა ბევრი კაცი არც კი ხნავს და სთესავს. ეს არის მიზეზი, რომ ქიზიყში თითქმის ყველას ვალები მართებთ, და მოვალეებს რაცა სურთ, იმას უშვრებიან გლეხებს. იმათ ხმის ამოღება არ შეუძლიანთ. მათ დაუკითხავათ ვალის პატრონი მოდის, იმათ წლის მოსავალს ზექდავს და მერე, როცა მოსწადდება, მაშინ მიაქვს. მე ბევრჯელ შემიტყვია და მინახავს, რომ მოვალე მოსულ იყოს, დაებეჭვდოს ქვევრებში გლეხ-კაცის ღვინოები, და ქიზიყელი კისერ გადაგდებული და აღშფოთებული დადიოდეს, ან ერთი საშინელი ჩხუბი აეტეხნოს და ეთქვას: „შე დალოცვილო! ღვინო სულ შენ რომ წაიღე, მე რაღა დაველიო და მღვდელს გაწესებაში რა მივცე, ფოშტის ფული სად ვიშოვნო, ათასი სასოფლო დავიდარაბები მოგვივა და რით მოვიშორო ეს ყველაფერი; მე ერთი ღვინის იმედი მქონდა და ეგეც შენ წაიღე. მოიტა ერთი შვიდი-რვა მანეთი მაინც არის მომეცი, რომ ეს წვრილი ვალები, ზოგი ვისი მმართებს და ზოგი ვისი, მოვიშორო—მაწუხებენ.“ ვალის პატრონი ამ უკანასკნელ თხოვნისათვის ქიზიყელს უნაზდება და ეუბნება, ვითომც გული სტკივა: „არა შვილო ვერ მოგცემ; ჯერ რაც ვალები გაქვს, ისიც ვერ მოგიშორებია და ეხლა შენ კიდევ ფულებს განდობ? ზიქი ხომ არა ვარ: მე შენთვისა ვწუხვარ, მე თვითონ მოვდივარ, ვენახს ვკრეფავ, რომ რა არის ვალები მოგაშორო; შენ კი მე მეჩხუბები. არა, ვერ მოგცემ, მე შენ ცოდშვილის ცოდვაში ვერ ჩავდგები“.—ეს მისი ცბიერება იცის ქიზიყელმა და ამისათვის ეუბნება: „ეხლა მაგის მეტს რას იტყვი, შვილო, შენ ნაზობ ამისთვის, რომ გსურს ერთი ორათ მიანგარიშო და წამართო, აი როგორც ეხლა, და მე კიდევაც მუნათი მქონდეს შენთან.“—შენ რომ კარგი კაცი არ იყო და ეგრეთი ტკბილი ენა არა გქონდეს, ღმერთმან იცის, რომ არ მოგცემდი, ეუბნება ვალის პატრონი, და მერე აძლევს და თანაც უხარიან, რომ ვალს მაინც ისევ არაფერი აკლდება და იმას კი ერთი ორათ მიაქვს. მინახავს და შემიტყვია აგრეთვე ისიც, რომ მრავალი ქიზიყელი, რადგანაც ვალის პატრონებისა ეშინიანთ, ამისათვის თავიანთ მოსავალს, უფრო მომეტებულათ ღვინისას, სხვაგან მეზობლისას მალვენ, მაგრამ ასრე კი ცრუვობენ: „ამა და ამ კაცის ფულები მმართებდაო და იმას მივეციო.“

რასაკვირველია, რომ ქიზიყელებს გარეშე მოვალეებს გარდა ერთმანერთის ვალებიც მართებთ. თითქმის იმისთანა ქიზიყელი არ არის, რომ ვალი არა ჰქონდეს, მაგრამ, ნუ გიკვირს მკითხველო, რომ იქნება არც იმისთანა იყოს, რომ ქიზიყელს ქიზიყელზე ფული არ ჰქონდეს გასესხებული. ეს ფულების გასესხებით იმნაირათ არიან ერთმანერთში გაბმულნი, რომ ისინი თვითონაც კი ერთი ერთმანერთს სცარცვენ, მაგრამ თვითონ არ ესმით და ჰგონებენ, რომ ისინი ვითომც იგებენ. აი ამის თაობაზე რა მიამბო ჩემმა ღარიბმა ქიზიყელმა ნათლი მამამ: ამან მიამბო, რომ მე ოცდა ათი თუმანი მმართებსო ჩვენი სოფლელ კაცებისაო; მაგრამ მეც სხვაზე მაქვს გასესხებული ხუთმეტი თუმანი ფულიო. ეხლა თქვენ რომ ხუთი თუმანი ფული გასესხოთო, დაუმატა იმან, ორ წლამდინ ოცი თუმანი ფული შესდგებაო. მიზეზი ის არისო, რომ ფოშტის ფულისათვის ჩვენში. . . . ხალხს ძლიერ უჭირს ამ დროს ფულიო; ვინც ამ დროს ფულებს მოიტანს და გაასესხებს, ვისაც უჭირს, უთუოთ ერთს ორათ მოიგებს და ვენახებს და სხვა მამულებს ხომ დაიგირავებს და დაიგირავებს.“ ამაში, როგორც მეც ვიცი არაფერია საეჭვო. მართლაც ქიზიყში კარგი ვენახები არიან. უმეტესი ნაწილი ამათგანი მთაზეა მოშენებული, რადგან ხალხიც დაღისტნელებსავით მთაში სცხოვრებს. ეს ვენახები არაოდეს არ ირწყვიან, ამისთვის, თუ გოლვიანი წელიწადია, ფუჭდებიან უწყლოობით. მაგრამ ამათ ისრე არაფერი აფუჭებს, როგორც სეტყვა. აი ეს სამი წელიწადია, რაც აქ ვენახებს სეტყვა აოხრებს. წლეულსაც წაახდინა. შესანიშნავი ვენახები აქ არიან ვენახები ქუმბათისა და ხარსისა, რომელნიც არიან ვაკეზე და ირწყვიან. ამ ვენახების ღვინოები ქიზიყში გათქმულია. მაგრამ ეს კი უნდა მოგახსენო, მკითხველო, რომ ქუმბათის ვენახები ძლიერ დამპალ ნიადაგზე მდებარებენ, ამისათვის იქ კაცი დაუხაშმავი ვერ გადურჩება ხოლმე. მაშასადამე, ჩემის აზრით, აქაური ღვინოც, თუმცა აქებენ, კაცის ჯანისათვის მავნებელი უნდა იყოს.

(შემდეგი იქნება).

---


საბიბლიოგრაფო ცნობა.

ტფილისში ბერენშტამის, ალადათოვის და ენფიაჯიანცის მაგაზიაში, აგრეთვე მელიქოვის სტამბაში ისყიდება:

**ვეფხვის-ტყაოსანი**

ფასი ათი შაური.

**ქართული ანბანი**

და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის,

**არითმეტიკა**. შედგენილი ვ. თულა-შვილისაგან და მ. ყიფიანისაგან. ფასი სამი შაური.

ჩონგური. ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან. ფასი ერთი მანეთი.

იბეჭდება.

ანბანის შემდეგ მეორე საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, იაკობ გოგებაშვილისა.


---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го апрѣля 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაკტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.